დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნას

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

„მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

10.02.2023

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი _____**მაია**_____

გვარი _____**გრძელიძე**_____

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	მოდის დიზაინის ტექნოლოგიები
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მეექვსე
4	კვალიფიკაციის დასახელება	დიზაინის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	–
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი - 0212
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, 0171, თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 68
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 24.12.2021, N1415429
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	24.12.2021
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	წელი 24.12.2022
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31.12.2030

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა მიეთითოს შეფასების ინდიკატორები და შეფასების ინსტრუმენტები, რაც გათვალისწინებულია დოკუმენტში „არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“;
2. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები და რიგი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ლიტერატურა. მაგ: „გამოყენებითი ანთროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები“ ძირითად ლიტერატურაში

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

გასათვალისწინებელია ტანაგებულების ანთროპომეტრიასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო;

3. სილაბუსში „ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები - ანთროპომეტრია“ – უნდა დაემატოს ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირების საფუძვლების შესაბამისი ლიტერატურა;
4. რეკომენდებულია, დაზუსტდეს რიგ სასწავლო კურსებში შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები კურსის შინაარსთან მიმართებით;
5. უცხოეთის უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები უნდა იყოს ფორმალიზებული ანალიზის დოკუმენტში, რომლის მეშვეობით დადგინდება უცხოეთის უსდ-ების პროგრამებთან დადარების შედეგები, მათ შორის - თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით რა ასპექტები და მიდგომები იყო გათვალისწინებული პროგრამაში და/ან მის ცალკეულ კომპონენტებში.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის N1415429 გადაწყვეტილებით საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის და აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამასთან მიმართებაში გაცემული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად განისაზღვრა 1 წელი.

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე 6 წევრისაგან შედგენილი ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა რეკომენდაციები და გაკეთებული იქნა შესაბამისი რეაგირება, რომელიც წარმოდგენილია თანდართული დოკუმენტაციის სახით.

დოკუმენტაციის შესწავლის და ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ ინსტიტუციამ განახორციელა აკრედიტაციის ექსპერტთა და საბჭოს მიერ მიცემული რეკომენდაციები, კერძოდ:

- შეიმუშავა დოკუმენტი საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის „პროგრამის სწავლის შედეგები, მათი შეფასების ინდიკატორები და ინსტრუმენტები”, შეფასების ინდიკატორებითა და ინსტრუმენტებით, თითოეული სწავლის შედეგისათვის განმავითარებელი სასწავლო კურსები განვითარების დონის ჩვენებით;

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

- რიგი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში შეტანილია საგნის ათვისებისათვის საჭირო სალექციო კურსები;
- რომ რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში დაზუსტებულია შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან;
- შეიმუშავა დოკუმენტი – „შედარებითი ანალიზი ბაკალავრიატი - მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“, სადაც დეტალურადაა გაწერილი შესაფასებელი პროგრამის შესაბამისობა მაპროფილებელი მიმართულების უცხოური უნივერისტეტების პროგრამებთან.

წარმოდგენილი ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ **რეკომენდაციები შესრულდა სრულად.**

ანგარიშს თან ერთვის „არქიტექტურის საფუძვლების, თეორიისა და სახვითი ხელოვნების № 602“ დეპარტამენტის სხდომის ოქმი (ოქმი N6, 25.11.2022), რომლითაც დასტურდება მოდიფიცირებული სილაბუსების განხილვა, რომლებიც დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი N4, 05.12.2022).

რჩევ(ებ)ი[8]

1. სასურველია, გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი;
2. მიზანშეწონილია, გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმში გამოყენებული ტერმინების სისწორე, მაგ., ტერმინი „ძირითადი სპეციალობა“ შეიცალოს ტერმინით „სწავლის ძირითადი სფერო“;
3. სასწავლო კურსის „კოსტუმის ისტორია“ წინაპირობად სასწავლო კურსი „შესავალი ხელოვნების ისტორიაში“ შესაძლებელია იქნას ამოღებული;
4. სასწავლო კურსის „ქართული ეროვნული სამოსის და ორნამენტის ისტორია“ წინაპირობად სასწავლო კურსი „კოსტუმის ისტორია“ შესაძლებელია იქნას ამოღებული;
5. მიზანშეწონილია, პროგრამის სასწავლო გეგმის „ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები“–დან კურსები, „წრფივი ალგებრისა და კალკულურის ელემენტები, „უცხოური ენა“, „არჩევითი ჰუმანიტარული საგნები“, „თავისუფალი კომპონენტი“ – გატანილი იქნას სწავლის ძირითადი სფეროს საგანთა ჯგუფიდან;
6. სასურველია არჩევითი საგნების ოთხი ჯგუფის ნაცვლად, არჩევანის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, პროგრამაში არჩევითი საგნები შეტანილი იქნას ერთ ჯგუფად და სტუდენტებს სურვილის შესაბამისად მიეცეთ 20 კრედიტის არჩევის საშუალება;
7. სასურველია, სასწავლო კურსს „წრფივი ალგებრისა და კალკულუსის ელემენტები“ დაემატოს ალბათობის თეორისაა და მათემატიკური სტატისტიკის საკითხები;

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

8. სასწავლო კურსის „ტექნიკური ნახაზი მოდის დიზაინში“ შინაარსს დაემატოს ფეხსაცმლის დეტალების ტექნიკური ნახაზების აგების საკითხები;
9. სასწავლო კურსის „ხარისხის მართვა“ შინაარსს დაემატოს ფეხსაცმლის ხარისხის შეფასების საკითხები;
10. მასალათმცოდენობის, კონსტრუირების და ტექნოლოგიის მიმართულების სასწავლო კურსებში გათვალისწინებული იქნას სპეცეკიპირებასთან დაკავშირებული საკითხები;
11. სასურველია უნივერსიტეტმა და პროგრამის განმახორციელებლმა ჯგუფმა აქტიურად იმუშაოს სტუდენტთა ინფორმირებულობის კუთხით, რათა დროულად და სრულყოფილად მიეწოდოთ ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ;
12. სასურველია, ქვეყნის მასშტაბით სხვა უნივერსიტეტების მონათესავე დარგის პროგრამების სტუდენტებთან ერთობლივ ღონისძიებებში, კონკურსებში და გამოფენებში მონაწილეობა, გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობითი საქმიანობის სფეროს გაფართოების მიზნით;
13. სასურველია, პარტნიორ საწარმოთა რაოდენობის გაზრდა, სტუდენტთათვის საწარმოო პრაქტიკის არეალის გაფართოებისათვის;
14. სასურველია, რომ სტუდენტები გარკვეული იყვნენ სწავლება–სწავლის მეთოდების არსში და კონკრეტული სასწავლო კურსისათვის გამოყენებული მეთოდების შესახებ ინფორმაცია მიიღონ კურსის საწყის ეტაპზე;
15. სასურველია, სტუდენტთა კარიერული განვითარების მიმართულებით ღონისძიებათა უზრუნველყოფა და სტუდენტური პროექტების დაფინანსების პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის მექანიზმის გაუმჯობესება;
16. სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა იზრუნოს ახალგაზრდა კადრების აღზრდასა და პროფესიონალად ჩამოყალიბებაზე – პროგრამის შემდგომი სიცოცხლისუნარიანობის აუცილებლობიდან გამომდინარე;
17. სასურველია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთაშორისო აქტივობების და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის რაოდენობრივი მაჩვენებელების ამაღლება;
18. პროგრამის წარმატებული განვითარებისათვის სასურველია პერსონალის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გააქტიურება, გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების განხორციელება, ურთიერთთანამშრომლობის უფრო მეტად გაღრმავება განვითარება მიმართულების, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;
19. მიზანშეწონილია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უსდ-ების დარგის სპეციალისტების მიერ.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

გამომდინარე იქედან, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევების შესრულება არ ატარებს სავალდებულო ხასიათს, რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს, რომ მათ მიერ რჩევების შესრულების პროცესი დაიწყო მყისიერად, მათი ნაწილი გაზიარებული და შესრულებულია. ასევე გაიზიარა რჩევათა ნაწილის (17. „სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთაშორისო აქტივობების და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის რაოდენობრივი მაჩვენებელების ამაღლება“; 19. „მიზანშეწონილია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უსდ-ების დარგის სპეციალისტების მიერ“) საჭიროება და თვლის, რომ მათი შესრულება რეკომენდაციებთან ერთად დადებითად აისახება საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ განვითარებაზე.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14]	პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა მიეთითოს შეფასების ინდიკატორები და შეფასების ინსტრუმენტები, რაც გათვალისწინებულია დოკუმენტში „არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“.

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	რეკომენდაციასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დოკუმენტში „პროგრამის სწავლის შედეგები, მათი შეფასების ინდიკატორები და ინსტრუმენტები" მითითებულია შეფასების ინდიკატორები, სასწავლო კურსები, რომლითაც ფასდება სწავლის შედეგის მიღწევა და შეფასების ინსტრუმენტები. ამავე დოკუმენტში მოცემულია თითოეული სწავლის შედეგისათვის განმავითარებელი სასწავლო კურსები განვითარების დონის ჩვენებით, რომელთა თანმიმდევრობა პროგრამაში ვითარდება მარტივიდან რთულისაკენ, განმავითარებელი დონით 1–დან 3–მდე. პროგრამით გათვალიწინებული ყველა შედეგი დაფარულია პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო კურსებით. რეკომენდაციის შესაბამისად შესრულებული დოკუმენტის დეტალური შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ **რეკომენდაცია შესრულდა სრულად.**
რჩევა[15] I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	– პროგრამის სწავლის შედეგები, მათი შეფასების ინდიკატორები და ინსტრუმენტები (დანართი 1)

სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II[16]	სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები და რიგი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ლიტერატურა. მაგ: „გამოყენებითი ანთროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები" ძირითად ლიტერატურაში გასათვალისწინებელია ტანაგებულების ანთროპომეტრიასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო.
შეფასება	ანგარიშზე თანდართული სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლით დასტურდება, რომ „გამოყენებითი ანთროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები" სასწავლო

[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	კურსის ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში შეტანილია შემდეგი სალექციო კურსი: ნ. დოლიძე, ქ. ჩირგაძე, ი. ჩარკვიანი „გამოყენებითი ანთროპოლოგიის საფუძვლები“. ლექციების კურსი. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2015 წ. 268 გვ. რეკომენდაციის შესაბამისად მოდიფიცირებული სილაბუსის შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ **რეკომენდაცია შესრულდა სრულად.**
რჩევა[17] II	-
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	- არქიტექტურის საფუძვლების, თეორიისა და სახვითი ხელოვნების № 602 დეპარტამენტის სხდომის ოქმი N6, 25.11.2022 (დანართი 2); - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N4, 05.12.2022 (დანართი 3); - სილაბუსები (დანართი 4).

სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია III[18]	სილაბუსში „ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები - ანთროპომეტრია“ – უნდა დაემატოს ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირების საფუძვლების შესაბამისი ლიტერატურა.
შეფასება	ანგარიშზე თანდართული სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლით დასტურდება, რომ „ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები - ანთროპომეტრია“ სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში შეტანილია შემდეგი სალექციო კურსი: ქათამაძე ა., გრძელიძე მ. „ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირების საფუძვლები“. ელ. ვერსია. ქუთაისი 2017 წ. აწსუ. 264 გვ. რეკომენდაციის შესაბამისად მოდიფიცირებული სილაბუსების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ **რეკომენდაცია შესრულდა სრულად.**

[17] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[18] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

რჩევა[19] III	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	- არქიტექტურის საფუძვლების, თეორიისა და სახვითი ხელოვნების № 602 დეპარტამენტის სხდომის ოქმი N6, 25.11.2022 (დანართი 2); - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N4, 05.12.2022 (დანართი 3); - სილაბუსები (დანართი 4).

სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია IV[20]	რეკომენდებულია, დაზუსტდეს რიგ სასწავლო კურსებში შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები კურსის შინაარსთან მიმართებით.
შეფასება	ანგარიშზე თანდართული სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლით დასტურდება, რომ რიგი სასწავლო კურსების: „ტექსტილის ნაკეთობათა მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების მეთოდები“, „ტექსტილის მასალათმცოდნეობა“ და „ტექსტილის ნაწარმის მხატვრულ - ინჟინრული დაგეგმარების ინტეგრაცია“ სილაბუსებში დაზუსტებულია შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. რეკომენდაციის შესაბამისად მოდიფიცირებული სილაბუსების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ **რეკომენდაცია შესრულდა სრულად.**
რჩევა[21] IV	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	- არქიტექტურის საფუძვლების, თეორიისა და სახვითი ხელოვნების № 602 დეპარტამენტის სხდომის ოქმი N6, 25.11.2022 (დანართი 2);

[19] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[20] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[21] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N4, 05.12.2022 (დანართი 3); - სილაბუსები (დანართი 4).

სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია V[22]	უცხოეთის უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები უნდა იყოს ფორმალიზებული ანალიზის დოკუმენტში, რომლის მეშვეობით დადგინდება უცხოეთის უსდ-ების პროგრამებთან დადარების შედეგები, მათ შორის - თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით რა ასპექტები და მიდგომები იყო გათვალისწინებული პროგრამაში და/ან მის ცალკეულ კომპონენტებში.
შეფასება	ანგარიშზე თანდართულ დოკუმენტში „შედარებითი ანალიზი ბაკალავრიატი - მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ გაკეთებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების“ სასწავლო კურსების სრული სია და მათი შესაბამისობა შემდეგი უცხოური უნივერსიტეტების მაპრფილებელ პროგრამებთან: კოლდინგის დიზაინის სკოლა (დანია), IED – დიზაინის ევროპული ინსტიტუტი (იტალია, ესპანეთი, ბრაზილია), ლასალის კოლჯი ვანკუვერში (კანადა), მაკრომედიის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი (გერმანია, ბერლინი). დოკუმენტში მოცემულია სასწავლო კურსების შესაბამისობის პროცენტული მაჩვენებელი და 10 პუნქტად არის გაწერილი თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით პროგრამისა და მის ცალკეულ კომპონენტებში გათვალისწინებული ასპექტები და მიდგომები. აღნიშნული დოკუმენტის დეტალურად შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ **რეკომენდაცია შესრულდა სრულად.**
რჩევა[23] V	-
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	- პროგრამათა დადარების ანალიზის დოკუმენტი (დანართი 5.)

[22] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[23] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

თანდართული დოკუმენტაცია[24]

- ✓ დანართი 1 - პროგრამის სწავლის შედეგები, მათი შეფასების ინდიკატორები და ინსტრუმენტები (16 ფურცელი);
- ✓ დანართი 2 - არქიტექტურის საფუძვლების, თეორიისა და სახვითი ხელოვნების № 602 დეპარტამენტის სხდომის ოქმი (3 ფურცელი);
- ✓ დანართი 3 - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი (4 ფურცელი);
- ✓ დანართი 4 - სილაბუსები (6 სილაბუსი, სულ ფურცლების რაოდენობა - 46);
- ✓ დანართი 5 - პროგრამათა დადარების ანალიზის დოკუმენტი (5 ფურცელი).

ექსპერტის ხელმოწერა

მაია გრძელიძე

[24] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა